ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ლ. ზ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.08.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 060/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ბ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 04 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 04 მაისს ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ.-ის წინააღმდეგ (საქმის №2/11571-17) ხუთმა მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი. 2017 წლის 07 ივნისს სასამართლოს მიმართა, ერთ-ერთი მოსარჩელის, შპს „რ. ი. გ."-ს დირექტორმა ა. ქ.მ განცხადებით, თითქოს მინდობილობაზე რეალურად მას არ მოუწერია ხელი და მას არ გაუცია იგი. ამასთან დირექტორმა აღნიშნა, რომ ადვოკატ ს. ბ.-ს, სადაო მინდობილობის თანახმად შპს „რ. ი. გ."-ს სამართლებრივ წარმომადგენელს, მოცემული სარჩელის შეტანამდე მასთან კონსულტაცია არ გაუვლია. შესაბამისად, ადვოკატი ს. ბ. სასამართლოზე წარმოადგენდა პირს, რომლისგანაც არ

ჰქონდა მიღებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ადვოკატი მოქმედებდა გაყალბებული მინდობილობის საფუძველზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული ფაქტით ირღვევა, მათი როგორც მოპასუხის უფლებები და ინტერესები, რადგან მათ მიმართ სარჩელის შემოტანა განხორციელდა უსაფუძვლოდ და ხელოვნურად, არაუფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, კანოეს ეროვნულ ფედერაციას მოუწია რესურსის ხარჯვა ისეთი სარჩელის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც სათანადო, უფლებამოსილ პირს არ გააჩნდა არანაირი ინტერესი, რაც მოსარჩელის სასამართლოში წარდგენილმა განცხადებამაც დაადასტურა. ადვოკატი ს. ბ. გამოვიდა დავაში, როგორც წარმომადგენელი, თუმცა რეალური და კანონიერი წარმომადგენლობა არ არსებობდა.

1.4 ეთიკის კომისიის მიერ საქმის საპროცესო წესით განხილვის ეტაპზე 2017 წლის 10 ოქტომბერს საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ს. ბ.-ის ერთ-ერთი კლიენტის, შპს ,,რ. ი. გ.“ სარჩელზე უარი თქმის მიუხედავად, კანოეს ეროვნული ფედერაცია, სამოქალაქო დავაში ჩაერთვებოდა, ვინაიდან სხვა მოსარჩელეებიც არსებობდნენ, თუმცა ფედერაციისთვის დიდი მნიშვენლობა აქვს მოსარჩელეთა რიცხვს. ამ დარგში სხვა ფედერაციების მხრიდან კანოეს ეროვნული ფედერაციის აღიარება მნიშვნელოვანია. ფედერაციებს მიაჩნიათ, რომ უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს გაწევრიანებაზე. შპს ,,რ. ი. გ.“ მოცემულ დავაში ხელოვნურად ჩართვით გამოვიდა ისე, თითქოს კანოეს ეროვნული ფედერაცია სხვა ფედერაციებს გაწევრიანებისთვის ხელოვნურ ბარიერებს უქმნის. ფედერაციისთვის მნიშვნელობა აქვს ყველა პირს, ვინც მის წინააღმდეგ იდავებს.

1.5 წარმომადგენელმა დააზუსტა რომ ფედერაციას მატერიალური ზიანი არ მისდგომია, ფედერაციის იურისტს ცალკე რესურსი არ დაუხარჯავს „რ. ი. გ.“-ს სარჩელის გამო ვინაიდან მის გარდა კიდევ რამოდენიმე თანამოსარჩელე იყო და შესაგებლის დაწერა მაინც დასჭირდებოდა. საუბარია არამატერიალურ ზიანზე, მოსარჩელეთა რიცხვის ,,ხელოვნური“ გაზრდით საქმიანი რეპუტაციის შელახვაზე. ადვოკატს ახსნა-განმარტებაში, რომ დაეწერა თუ ვინ მიუტანა სადაო მინდობილობა, საჩივარს საფუძველი გამოეცლებოდა. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ს. ბ. არ იქნებოდა მოცემულ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირი, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული საკითხი გამოსაკვლევია და ადვოკატმა მოცემული მინდობილობით იმოქმედა, ფედერაცია ადვოკატის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ს. ბ.-მა 2017 წლის 04 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, რომლის თანახმად, 2017 წლის მარტის თვეში საადვოკატო ბიუროს („ბ.ბ.ქ.-ბ.დ.ს„) მიმართა რამდენიმე პირმა სასამართლოში საქმის წარმოების წამოწყების სურვილით. აღნიშნულ პირებთან პირადი გასაუბრების შემდგომ გაირკვა, რომ პირთა უმრავლესობა წარმოადგენდა სპორტულ ოჯახს, კერძოდ კი კანოე კაიაკი, ნიჩბოსნობასა თუ სხვადასხვა მომიჯნავე სპორტულ დისციპლინებსა და სახეობებში დასაქმებულ პირებს. კლიენტთან (კლიენტებთან) საქმის დეტალებისა და სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირებისათვის გამართულ შეხვედრებზე და ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციისას დაზუსტდა ასევე მოსარჩელე პირთა წრე, მათ შორის კი იყო სწორედ ის ორგანიზაცია, რომლის მიერ გაცემული დოკუმენტიც გახდა სადავო - შპს „რ. ი. გ.“.

2.2 ადვოკატის განცხადებით, კლიენტთან (კლიენტებთან) გაიმართა არაერთი შეხვედრა, რომელთაგან თითოეულს ესწრებოდა დაახლოებით 5-6 პირი სხვადასხვა სპორტული

ორგანიზაციიდან. შეხვედრაზე დამსწრე პირთა შემადგენლობა იცვლებოდა ყოველ ჯერზე. უცვლელად მუდმივ საკონტაქტო პირს კი წარმოადგენდა ბატონი ბორის მხეიძე, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ ს. კ-კ.-ის ფედერაციის პრეზიდენტს.

2.3 ა(ა)იპ ს. კ-კ.-ის ფედერაცია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირს. ფედერაციის წესდების პირველი მუხლის 1.2.6 და 1.2.21. პუნქტების თანახმად ფედერაციის დამფუძნებელი წევრები (სხვა პირებთან ერთად) არიან: გ. ნ. და-ა. ქ.. ა(ა)იპ ს. კ-კ.-ის ფედერაციის პრეზიდენტი არის ბორის მხეიძე, რომელიც მოსარჩელეთა მხრიდან წარმოადგენდა ძირითად საკონტაქტო პირს.

2.4 ადვოკატის განცხადებით ფედერაციის პრეზიდენტმა საადვოკატო ბიუროში წარმოადგინა საქმესთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაცია და ასევე უზრუნველყო კლიენტთა (მოსარჩელეთა) მიერ გაცემულ რწმუნებულებათა წარმოდგენა. ელ. ფოსტის მიმოწერაში იკითხება, რომ ბორის მხეიძე დამატებით წარმოადგენს ერთ-ერთი მოსარჩელის შპს „რ. ი. გ.ს“-ს მიერ გაცემული მინდობილობის სამუშაო ვერსიას (Microsoft word დოკუმენტი) და მიმოწერაშივე აფიქსირებს, რომ დოკუმენტის დედანს დამატებით წარმოადგენდნენ.

2.5 ადვოკატისთვის, რომელსაც უნდა წარმოედგინა რამდენიმე მომიჯნავე სპორტული დისციპლინის წარმომადგენელთა ერთობა (სხვადასხვა იურიდიული პირების სახით), ეჭვს არ იწვევდა იმ პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტისა და ინფორმაციის სისწორე/უტყუარობა, რომელიც თავის მხრივ ხელმძღვანელობს (პრეზიდენტი) იმ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ყველა წარმოდგენილ მოსარჩელეს, მათ შორის შპს „რ. ი. გ.ს“. შპს „რ. ი. გ.“-ს დამფუძნებელ პარტნიორებს წარმოადგენენ: გ. ნ.; ა. ქ.. ა. ქ. ასევე წარმოადგენს ამ ორგანიზაციის დირექტორს. შპს „რ. ი. გ.“-ს დამფუძნებელი პარტნიორები არიან სწორედ ის პირები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ა(ა)იპ ს. კ-კ.-ის ფედერაციის დამფუძნებლებს. შესაბამისად, საქმის წარმოებისათვის საჭირო მასალების შეგროვებისას ეჭვს არ იწვევდა იმ ფედერაციის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობა, რომელიც აერთიანებს მოსარჩელეებს, როგორც ფედერაციის დამფუძნებლებს.

2.6 ადვოკატის განცხადებით, საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა შპს „რ. ი. გ.“-ს დამფუძნებელი პარტნიორების პოზიცია ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ.-ის საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ რეესტრში დაცულია (ატვირთულია) ა(ა)იპ ს. კ-კ.-ის ფედერაციის 2015 წლის 22 ოქტომბრის დამფუძნებელთა კრების ოქმი. ოქმის შინაარსიდან ირკვევა, რომ კრებაზე განხილულ იქნა და გამოითქვა ა(ა)იპ ს. კ-კ.-ის ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის მიერ განხორციელებული საქმიანობისადმი პროტესტი. აღნიშნულ ოქმს ხელს აწერენ შპს „რ. ი. გ.“-ს დამფუძნებელი პარტნიორები. შესაბამისად ამ ორგანიზაციის მოსარჩელეთა რიგებში ყოფნა ლოგიკურია და არ იწვევს ეჭვს.

2.7 ადვოკატის განცხადებით მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც სარჩელი და თანდართული დოკუმენტაცია პირადად ჩააბარა მოპასუხის პრეზიდენტს, დავით ქაცარავას 2017 წლის 1 ივნისს. შპს „რ. ი. გ.“-ს დირექტორი, ა. ქ. სატელეფონო კომუნიკაციის შემდგომ გამოცხადდა საადვოკატო ბიუროს ოფისში, სადაც შედგენილ იქნა აქტი სარჩელის გამოხმობის თაობაზე. აღნიშნულ განცხადებაში, რომელსაც როგორც ადვოკატი, ასევე ა. ქ. აწერს ხელს, მითითებულია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელი შპს „რ. ი. გ.“ აუქმებს თავის მიერ 2017 წლის 5 აპრილს გაცემულ N8 მინდობილობას და წყვეტს წარმომადგენლის უფლებამოსილებას ს. ბ.-ისა და შპს „ბ.ბ.ქ.-ბ.დ.ს“-ს მიმართ. სწორედ

აღნიშნული განცხადების საფუძველზე სასამართლომ 2017 წლის 9 ივნისს მიიღო განჩინება შპს „რ. ი. გ.ს“ მიმართ სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე. შპს „რ. ი. გ.“-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ა. ქ. ადასტურებს, რომ 2017 წლის 5 აპრილს სწორედ ამ ორგანიზაციის სახელით, მის მიერ იქნა მინდობილობა გაცემული; იმის გათვალისწინებით, რომ „დაკარგა ინტერესი“ სასარჩელო მოთხოვნის მიმართ, შესაბამისად გააუქმა კიდეც მის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მას, როგორც ადვოკატს, მოსარჩელეთა რიცხოვნობასთან მიმართებით ინტერესი არ ჰქონია. ამასთან, კანოეს ეროვნულ ფედერაციას რესურსის ხარჯვა მაინც მოუწევს მიუხედავად მოსარჩელეთა რიცხოვნობისა, ვინაიდან სხვა მოსარჩელეთა სახელით სასარჩელო წარმოება კვლავ ძალაშია. დოკუმენტის სიყალბესთან მიმართებაში, ადვოკატი განმარტავს, რომ ადვოკატის ფუნქცია-ვალდებულებას არ წარმოადგენს ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება.

2.9 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ვერც სამართლებრივად და ვერც ლოგიკურად ვერ ასაბუთებს ადვოკატის ინტერესს მოსარჩელეთა სიმრავლესთან მიმართებაში. გაუგებარია რა მიზანს ემსახურებოდა მოსარჩელეთა წრის ,,ხელოვნური“ გაზრდა. სახეზეა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის წარმომადგენელთან მოლაპარაკება, სარჩელის გამოხმობის მიზნით, რაც შემდგომში, საჯარო განცხადებების გაკეთებისათვის მოპასუხის სასარგებლოდ იმუშავებდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ს. ბ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი #/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 საქართველოს კანოეს ეროვნულმა ფედერაციამ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 04 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი წარმოადგენდა შპს „რ. ი. გ.“-ს, როგორც მოსარჩელეს დავაში, რომლისგანაც არ ჰქონდა მიღებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ადვოკატი მოქმედებდა გაყალბებული მინდობილობის საფუძველზე.

,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.“ ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. ‘’

5.2 საჩივრის ავტორი, ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ., სასამართლო დავის მოპასუხე მხარე, სადაოდ ხდის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის, ს. ბ.-ის, პროფესიულ ქცევას. კერძოდ, 2017 წლის 4 მაისს მოსარჩელეებმა: ა (ა) იპ ნიჩბოსნობის კლუბმა ,,თეთრი ტბა“, ა (ა) იპ საქართველოს კანოე კაიაკის ფედერაციამ, შპს ,,რ. ი. გ.“-მ, შპს ,,ნიჩბოსნობის კლუბმა ,,ბაგინეთი“, ა (ა) იპ ნიჩბოსნობის კლუბმა ,,ბაზალეთის ტბა“ სასამართლოს სარჩელით მიმართეს ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ.-ის წინააღმდეგ (დავის საგანი: ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ.-ის საერთო კრების სხდომის ოქმისა და მისგან გამომდინარე შედეგების ბათილობა). 2017 წლის 7 ივნისის ადვოკატ ს. ბ.-ის ერთ-ერთი კლიენტის, შპს „რ. ი. გ.“-ს დირექტორმა ა. ქ.მ შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართა სასამართლოს: მის მიერ გაცემული მინდობილობა რეალურად მის მიერ არ ყოფილა ხელმოწერილი და გაცემული. დირექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ სარჩელის შეტანამდე ადვოკატს მასთან კონსულტაცია არ გაუვლია.

5.3 საქმის მასალებით დგინდება, რომ საპროცესო კოლეგიის განმარტებით, დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას იდაოს ადვოკატის ქცევის ეთიკურობაზე, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები. საჩივარი შემოტანილია მოწინააღმდეგე მხარის მიერ, რომელიც სადაოდ ხდის კლიენტს, შპს ,,რ. ი. გ.’’-სა და ადვოკატ ს. ბ.-ს შორის ურთიერთობას, კერძოდ მინდობილობის ნამდვილობას, რომლის საფუძველზე ს. ბ. წარმოადგენდა შპს ,,რ. ი. გ.ს“, როგორც მოსარჩელის ინტერესებს საჩივრის ავტორის წინააღმდეგ სასამართლო დავაში და უთითებს, რომ კლიენტის მიმართ განხორციელებული არაეთიკური ქცევის შედეგად, მას, მოწინააღმდეგე მხარესაც შეელახა უფლებები და მიადგა ზიანი. ადვოკატ ს. ბ.-ის კლიენტს ეთიკის კომისიისათვის ადვოკატის წინააღმდეგ საჩივრით არ მოუმართავს. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით მოწინააღმდეგე მხარის საჩივრის შემდგომი განხილვისათვის არსებითია საჩივრის ავტორმა დაასაბუთოს ადვოკატის ქმედებით როგორ დაირღვა მისი უფლებები და რა ზიანი მიადგა მას. ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ კანოეს ეროვნული ფედერაციისთვის უფლების დარღვევის შესახებ საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა საქმის საპროცესო წესით განხილვის ეტაპზე 2017 წლის 10 ოქტომბერს განმარტა, რომ ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ., სამოქალაქო დავაში ჩაერთვებოდა იმის მიუხედავად შპს ,,რ. ი. გ.“ იქნებოდა თუ არა მოსარჩელე, ვინაიდან სხვა მოსარჩელეებიც არსებობდნენ. წარმომადგენელმა დააზუსტა რომ ფედერაციას მატერიალური ზიანი არ მისდგომია,

ფედერაციის იურისტს ცალკე რესურსი არ დაუხარჯავს შპს „რ. ი. გ.“-ს სარჩელის გამო ვინაიდან მის გარდა კიდევ რამოდენიმე თანამოსარჩელე იყო და შესაგებლის დაწერა მაინც დასჭირდებოდა. მიყენებულ ზიანად წარმომადგენელი აფასებს საქმიანი რეპუტაციის შელახვას მოსარჩელეთა რიცხვის გაზრდით, რადგან ამ დარგში მნიშვნელოვანია სხვა ფედერაციების მხრიდან კანოეს ეროვნული ფედერაციის აღიარება. ფედერაციებს მიაჩნიათ, რომ უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს გაწევრიანებაზე. შპს ,,რ. ი. გ.“ მოცემულ დავაში ხელოვნურად ჩართვით გამოვიდა ისე, თითქოს კანოეს ეროვნული ფედერაცია სხვა ფედერაციებს გაწევრიანებისთვის ხელოვნურ ბარიერებს უქმნის. ადვოკატს ახსნა-განმარტებაში, რომ დაეწერა თუ ვინ მიუტანა სადაო მინდობილობა, საჩივარს საფუძველი გამოეცლებოდა. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ს. ბ. არ იქნებოდა მოცემულ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირი, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული საკითხი გამოსაკვლევია და ადვოკატმა მოცემული მინდობილობით იმოქმედა, ფედერაცია ადვოკატის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

5.4 კოლეგიის შეფასებით, კანოეს ეროვნული ფედერაციის არგუმენტაცია არასაკმარისია ზიანის დასაბუთებისთვის, ვინაიდან ემყარება მხოლოდ სუბიექტურ შეფასებას. არამატერიალურ ზიანად ვერ ჩაითვლება სასამართლო დავის დაწყებით საქმიანი რეპუტაციის შელახვა. გარდა ამისა, შპს ,,რ. ი. გ.“-მ უარი თქვა სარჩელზე, მის ნაწილში სარჩელი განუხილველი დარჩა და სასამართლო წარმოება გაგრძელდა მხოლოდ დანარჩენი მოსარჩელეების წინააღმდეგ. საჩივრის ავტორს არც მატერიალური ზიანი მისდგომია, ვინაიდან როგორც თავად წარმომადგენელმა განმარტა, რამოდენიმე მოსარჩელის გამო სასამართლოში იურიდიული მომსახურების განხორციელება საჭირო იყო მიუხედავად იმისა დარჩებოდა თუ არა დავაში შპს „რ. ი. გ.“. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის მიზანია სიმართლის დადგენა თუ ვის მიერ მოხდა რეალურად მინდობილობაზე ხელის მოწერა და თავადვე უშვებს იმ ფაქტს რომ ამ კონკრეტულ ნაწილში ადვოკატის ბრალეულობა შეიძლება არც იკვეთებოდეს.

5.5 კოლეგიის შეფასებით, ეთიკის კომისიის განხილვის საგანი არ არის ადვოკატსა და კლიენტს შორის უფლებამოსილების პრობლემურობა, სანამ არ იარსებებს თავად კლიენტის პრეტენზია. ადვოკატის მიმართ „რ. ი. გ.“-ს პრეზიდენტს ეთიკის კომისიაში პრეტენზია არ დაუფიქსირებია, შესაბამისად ადვოკატთა ასოციაცია მოკლებულია შესაძლებლობას „თვითნებურად“ ჩაერიოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში და დაიწყოს დარღვევის ძიება, მაშინ როცა მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

5.6 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოისმინა საჩივრის ავტორის პოზიცია, შეამოწმა საჩივრის ავტორის, როგორც ადვოკატის პროფესიული ქცევით უკმაყოფილო პირის უფლებამოსილება ადვოკატის მიმართ გამოხატულ პრეტენზიასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ა(ა)იპ ს. კ. ე. ფ. არ არის უფლებამოსილი პირი იდაოს ადვოკატ ს. ბ.-ის პროფესიულ ქცევაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ სააქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-6 მუხლით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 31-ე, 32-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №060/17 ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/